სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას თოთხმეტი წლის ოცდაშვიდ ოქტომბერს, მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, შარტავას ქ.№7-ში მომმართა: **შპს „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს (ს/კ 404991167) დირექტორმა სიმონი ყრუაშვილმა.** მან განაცხადა, რომ სურს მოქ. **ნიკა წულაიასთვის** გარკვეული უფლებამოსილების მინიჭება და შესაბამისი მინდობილობის შედგენა, აგრეთვე მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, მე ნამდვილად: **შპს „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს (ს/კ 404991167) დირექტორმა სიმონი ყრუაშვილმა (დაბ.06.04.1974წ., პასპორტი 07PA94805, პირადი №35001040592)** მომმართა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე წავუკითხე მინდობილობის შინაარსი. მან განაცხადა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე შპს „ამხანაგობა ჩვენი სახლი“-ს (ს/კ 404991167) დირექტორმა სიმონი ყრუაშვილმა (დაბ.06.04.1974წ., პასპორტი **07PA94805,** პირადი №35001040592) „შემდგომში-მარწმუნებელი“
ნიკა წულაიას (დაბ.19.02.1988წ., პირადი №29001013751) „შემდგომში-რწმუნებული“
მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:
„რწმუნებული“ უფლებამოსილია, იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალებასთან.

მინდობილობა გაცემულია 3 (სამი) თვის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა ქეთევან ოდილავაძემ, რომელმაც წაიკითხა და განმიმარტა მისი შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ოდილავაძესთან, ორი გადაეცა მხარეს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე, მუხლისა და დღგ- 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის №169-ე მუხლის პირველი ნაწილისა, აგრეთვე გადახდილია ელეტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი ნიკა წულაია

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

საქართველო



საქართველო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ეროვნული ბიბლიოთეკ